პრეს-რელიზი

IDFI-იმ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგების და კანონპროექტის პრეზენტაცია გამართა

თბილისი, 2018 წლის 28 მაისი – **ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს (OSGF) ხელშეწყობით საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგების და კანონპროექტის პრეზენტაცია გამართა.**

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის, მართლმსაჯულების/იურიდიული წრეების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა. ღონისძიება გახსნეს IDFI-ის პროგრამების დირექტორმა **ლევან ავალიშვილმა** და OSGF-ის ადამიანის უფლებათა პროგრამის მენეჯერმა **გიორგი ჩიტიძემ.**

IDFI-ის კანონის უზენაესობის მიმართულების ხელმძღვანელმა **გიორგი ბერაიამ** საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგები წარადგინა. მან ასევე ფართოდ ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედ კანონმდებლობაში არსებულ პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლის სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას აღნიშნულ სასამართლოში.

„საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგის ფარგლებში, სასამართლოს საქმიანობაში გამოვლინდა ხარვეზები ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია, სასამართლო სხდომების გამჭვირვალობასთან, მოსამართლეთა მიმართ არსებულ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან, სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობასთან, სახელმწიფო რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან და სხვა," განაცხადა **გიორგი ბერაიამ.**

OSGF-ის ადამიანის უფლებათა პროგრამის მენეჯერმა **გიორგი ჩიტიძემ** აღნიშნა, რომ "ძალზედ მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა მუდმივად იყოს საზოგადოების ყურადღების ცენტრში, რადგანაც იგი ინსტიტუციურად წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ მთავარ კონსტიტუციურ მექანიზმს ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, სასამართლოს საქმიანობა და მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებების და კონსტიტუციური პრინციპების ეფექტურად დაცვას." "იმედია, საქართველოს პარლამენტი მალე დაიწყებს საკანონმდებლო რეფორმის პროცესს, რომელიც მოემსახურება არსებულ კანონმდებლობაში ამ კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და სასამართლოს საქმიანობის ინტიტუციური მოწყობის გაუმჯობესებას." - განაცხადა **გიორგი ჩიტიძემ.**

საკონტაქტო ინფორმაცია

- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge